საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 15 2019 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „კიკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 2018 წლის 20 დეკემბერს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 5 625 (ხუთი ათას ექვსას ოცდახუთი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

მამუკა ბახტაძე